

**Kakhaber Loria**

კახაბერ ლორია

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*Georgia, Tbilisi*

*საქართველო, თბილისი*

## **America and Knut Hamsun**

### **ამერიკა და კნუტ ჰამსუნი**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10855>

The life of the great Norwegian writer and Nobel Prize laureate Knut Hamsun (1859-1952) turned out to be so dramatic and turbulent that it remains a subject of great research interest. Hamsun visited America twice, but his attempts to gain a foothold there were unsuccessful, which probably contributed to the development of anti-American sentiments in his mind. This was especially strongly reflected in Hamsun's work, published in 1889 – *The Cultural Life of Modern America*. The book, which is quite skillfully written from a stylistic point of view, is at the same time distinguished by its harsh, and not infrequently overtly tendentious, criticism of American lifestyle, politics, and art.

**Keywords:** emigration; America; Norway; Nobel Prize; literary biography

**საკვანძო სიტყვები:** ემიგრაცია; ამერიკა; ნორვეგია; ნობელის პრემია; ლიტერატურული ბიოგრაფია

დიდი ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი კნუტ ჰამსუნი (1859-1952) არა მხოლოდ მსოფლიო მოდერნისტული პროზის ერთერთი მამამთავარი, მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიო ლიტერატურის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი და დღესაც საერთაშორისო მასშტაბით ძალზე პოპულარული მწერალია, არამედ უაღრესად გამორჩეული ფიგურაა თავისი ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებისეული გზის თვალსაზრისითაც. ჰამსუნის ცხოვრება იმდენად დრამატული და შფოთიანი აღმოჩნდა, რომ დღესაც მკვლევართა დიდი ინტერესის სფეროს წარმოადგენს. შესაბამისად, დაიწერა და კვლავაც იწერება ჰამსუნის არაერთი ლიტერატურული ბიოგრაფია თუ ბიოგრაფიის შემსწავლელი სამეცნიერო ნარკვევი. ცხადია, ჰამსუნისა და ნაციზმის მიმართების საკითხს ამ ნაშრომებში წამყვანი ადგილი უჭირავს, მაგრამ ასევე საყურადღებოა დიდი მწერლის ბიოგრაფიის სხვა ასპექტებიც. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ჰამსუნის პრობლემატური დამოკიდებულების საკითხი ამერიკასა და ანგლო-საქსურ კულტურასთან.

მცირერიცხოვანი ნორვეგიიდან ამერიკაში ემიგრაციის რამდენიმე ტალღისას 1825-1920 წლებში 800 ათასამდე (!) ადამიანი გაემგზავრა. თავად კნუტ ჰამსუნი ამერიკაში იმყოფებოდა ორჯერ: პირველად, 1882 წლის თებერვლიდან 1884 წლის თითქმის შემოდგომამდე (როცა ისე სერიოზულად დაავადდა, ტუბერკულოზი ეგონა, და ნორვეგიაში დაბრუნდა), მეორეჯერ კი – 1886 წლის შემოდგომიდან 1888 წლის ზაფხულამდე. ჰამსუნი ამერიკაში არანაირ შრომას არ თაკილობდა: მუშაობდა მიწის მუშად, ღორების მწყემსად, ტრამვაის კონდუქტორად და ა.შ. თუმცა, ასევე სცადა ჟურნალისტობაც და საჯარო მოხსენებათა წაკითხვაც. მთლიანობაში, ჰამსუნის მცდელობა ამერიკაში ფეხი მოეკიდებინა რაიმე მისთვის შესაფერის პოზიციაზე, წარუმატებელი აღმოჩნდა, რამაც, შესაძლოა, ხელი შეუწყო მის ცნობიერებაში ანტიამერიკული განწყობების გაღვივებას. ეს უკანასკნელი

მეტნაკლებად მკაფიოდ გასდევს მთელს მის (შემოქმედებით) ბიოგრაფიას, მაგრამ განსაკუთრებით მძაფრად აისახა ჰამსუნის 1889 წელს გამოცემულ წიგნში – „თანამედროვე ამერიკის სულიერი ცხოვრებიდან“ („Fra det moderne Amerikas Aandsliv“). თხზულება სულ რამდენიმე თვეში დაიწერა, ვინაიდან დაეყრდნო იმ მოხსენებებს, რომლითაც ჰამსუნი მანამდე გამოდიოდა. წიგნი, რომელიც, სტილისტური თვალსაზრისით, უდავოდ ოსტატურადაა დაწერილი, იმავდროულად, გამოირჩევა ამერიკული ცხოვრების წესის, პოლიტიკისა და ხელოვნების მკაცრი, მაგრამ, არცთუ იშვიათად, ამკარად ტენდენციური კრიტიკით.

როგორც ჰამსუნის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთერთი ცნობილი მკვლევარი, ლარს ფრუდე ლარსენი აღნიშნავს (2003, გვ.99), ემიგრირების გადაწყვეტილება ნორვეგიელების მიერ, როგორც წესი, ერთ დღეში არ მიიღებოდა ხოლმე, არამედ მას წინ ხანგრძლივი დაფიქრებისა და მომზადების პროცესი უძლოდა. არც ის იყო უჩვეულო, რომ ოკენისგაღმა გამგზავრებამდე ხალხი, ხეირის სანახავად, საცხოვრებელ ადგილს ჯერ სამშობლოშივე იცვლიდა (ზოგჯერ არაერთხელაც კი) და მხოლოდ ამის შემდეგ, თუ მაინც უკმაყოფილო იყო ცხოვრებით, უკეთესი პირობების მოლოდინში დაადგებოდა ამერიკის, როგორც ერთგვარი „აღთქმული ქვეყნის“ გზას. ამ მხრივ ჰამსუნის და მისი ოჯახის შემთხვევა იმ ეპოქისთვის მართლაც რომ საკმაოდ დამახასიათებელი ისტორიაა.

ეკონომიკური მოსაზრებების გამო კნუტის მამამ ოტადალენიდან (ტერიტორია ცენტრალური ნორვეგიის მთიან ნაწილში, მოსას ტბის ჩრდილოეთით, მდინარე ოტას გასწვრივ) ოჯახთან ერთად გადასვლა ჯერ კიდევ 1862 წელს გადაწყვიტა, მაგრამ, სავარაუდოდ, ამერიკაში სამოქალაქო ომის გამო მიმართულებად ჩრდილოეთ ნორვეგია (ნურლანდი), ვონკრეტულად კი ჰამაროი აირჩია. აქ დაფუძნებაში ოჯახს კნუტის ერთერთი ბიძა დაეხმარა. ლარს ფრუდე ლარსენის თანახმად, კნუტის ოჯახმა ნურლანდშიც შეინარჩუნა თავდაპირველი იერსახე, ისინი სახლში კვლავაც საკუთარ დიალექტზე საუბრობდნენ და ნურლანდის ყოფით კულტურასთან შერწყმისათვის მათ გარკვეული დრო დასჭირდათ. 1879 წელს სრულიად ახალგაზრდა კნუტი ტოვებს ჩრდილოეთ ნორვეგიას აღსავსე დიდი და ამბიციური გეგმით, რომ გახდეს ცნობილი მწერალი. როგორც ლ.ფ. ლარსენი აღნიშნავს (2003, გვ. 100), ამის შემდეგ ჩვენ შეიძლება მას თვალი მივადევნოთ ოისტესეში (დასახლება დასავლეთ ნორვეგიაში, ჰარდანგერის ულამაზეს რეგიონში), კოპენჰაგენში, ქრისტიანიაში (იმდროინდელი ოსლო) და ბოლოს ტუტენში (მხარე ოსლოს ჩრდილოეთით, ნორვეგიის უდიდესი ტბის – მოსას დასავლეთით), „სადაც იმედისმომცემმა მწერალმა განიცადა სრული დეკლასირება და აღმოჩნდა მშრომელი პროლეტარიატის ბოლო რიგებში, როგორც გზის მუშა. ჰამსუნი თითქმის იქცა ერთგვარ მაწანწალად ლიტერატურული ამბიციებით.“ (Larsen, 2003, გვ. 100). აი, ამ მდგომარეობაში მყოფი კნუტი 1882 წელს გადაწყვეტს ამერიკაში გამგზავრებას. ამ გადაწყვეტილებას უკავშირებს ის არამარტო მატერიალური პირობების გაუმჯობესებას, არამედ იმედი აქვს, რომ აიხდენს ოცნებას- შეძლებს წეროს. მას თავი წარმოუდგენია ავტორად რომელიც ნაწარმოებებს ნორვეგიული წარმოშობის ამერიკელებისთვის შექმნის. „მან [ჰამსუნმა] დატოვა ნორვეგია, გახდა რა მაწანწალა, რომელიც მოუსვენრად დაეხეტებოდა არა მარტო საკუთარ ქვეყანაში, არამედ გააფართოვა (სამოქმედო) სივრცე“ (Larsen, 2003, გვ. 100).

როგორც აღვნიშნეთ, ამერიკაში ნორვეგიიდან ემიგრაცია რამდენიმე ტალღად განხორციელდა. თავდაპირველად მოსახლეობის გასვლა სოფლებიდან დაიწყო, მაგრამ თანდათან ეს პროცესი ქალაქებზეც გავრცელდა. პირველ ხანებში ემიგრანტთა რაოდენობა შედარებით მოკრძალებულად გამოიყურებოდა და მათ შორის მაღალი იყო რელიგიური თუ პოლიტიკური უმცირესობების წილი, რომლებიც ნორვეგიაში თავს დაჩაგრულად აღიქვამდნენ. ემიგრაციის დიდი ნაკადები 1865 წლის შემდეგ, ამერიკის სამოქალაქო ომის დასრულებისთანავე დაიწყო და 1920 წლამდე, ანუ ამერიკული საემიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებამდე გაგრძელდა.

„1873 წლამდე ემიგრირდა 110 000-ზე მეტი ნორვეგიელი, ე.ი. საშუალოდ დაახლოებით 14 000 წელიწადში. 1873 წელს ამერიკის ეკონომიკაში კრიზისის შემდეგ, მომდევნო [1874] წელს ეს რიცხვი 4600-მდე დაეცა. 1880 წელს დაიწყო ემიგრაციის მეორე და ყველაზე დიდი ტალღა. 1880-დან 1893 წლამდე, 14 წლის განმავლობაში – როდესაც ამერიკულ ეკონომი-

მიკას დეპრესიის ახალი პერიოდი დაატყდა თავს – 260 000-ზე მეტი ნორვეგიელი გაემგზავრა ოკეანის გადაღმა, ე.ი. საშუალოდ თითქმის 19 000 წელიწადში. ემიგრაციის ინტენსივობით ნორვეგია იმ დროს მეორე ადგილზე იყო ყველა ევროპულ ქვეყანას შორის და მხოლოდ ირლანდიას ჩამორჩებოდა. ამერიკაში ნორვეგიელთა ემიგრაციის სარეკორდო წელი 1882 იყო. ამ წელს 28 804-მა ნორვეგიელმა დატოვა საკუთარი სამშობლო – ყველამ იმ იმედებით, რომ „იმედისა და დიდების ქვეყანაში“ უკეთეს ცხოვრების საშუალებას მოიპოვებდა. საუკუნეთა მიჯნაზე დაიწყო ემიგრაციის მესამე და ბოლო დიდი ტალღა. ეს გაგრძელდა პირველ მსოფლიო ომამდე. მთლიანობაში, 1866-დან 1914 წლამდე 750 000-ზე მეტმა ნორვეგიელმა იპოვა გზა ამერიკისკენ“ (Larsen, 2003, გვ. 101).

მასობრივი ემიგრაციის მიზეზი ძალზე არერთგვაროვნად და კომპლექსურად გამოიყურება. თავის როლს თამაშობდა ნორვეგიაში არსებული სიღარიბე, კლასობრივი უთანასწორობა, ჩაგვრა, ჭარბმოსახლეობა და სხვადასხვა ეკონომიკური თუ სამეწარმეო რეგულაციები, გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს თავგადასავლებისადმი წყურვილი და მოარული ხმები ამერიკაში იაფი სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ. როგორც ლ.ფ. ლარსენი აღნიშნავს:

„დროთა განმავლობაში შესაძლო გახდა შესამჩნევი ცვლილებების რეგისტრირება ემიგრანტთა მასის სოციალურ შემადგენლობაში. მაშინ, როცა თავდაპირველად უმეტესად მთელი ოჯახები ემიგრირებდნენ, [თანდათან] სულ უფრო ჩვეულებრივი გახდა, რომ ცალკეული ინდივიდები მიდიოდნენ. ხშირად ისე ხდებოდა, რომ ადრე ემიგრირებული ოჯახის წევრები ახალისებდნენ დარჩენილებს, რომ ისინიც გამოყოლოდნენ. ასევე მკაფიო იყო ტენდენცია, რომ ემიგრირებული მამაკაცების რიცხვი აღემატებოდა ქალების რიცხვს. ეს განსაკუთრებით ეხებოდათ მამაკაცებს პროფესიული განათლების გარეშე. გამგზავრებულთა შორის სულ უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდები იყვნენ. 1870-იანი და 80-იანი წლების განმავლობაში ამან ერთგვარი ახალგაზრდული ემიგრაციის ხასიათი შეიძინა. მასობრივი ემიგრაციის პერიოდის ბოლოს, ფაქტობრივად, ყველა ემიგრანტის [რაოდენობის] თითქმის ორი მესამედი 15-დან 25 წლამდე ასაკის იყო“ (Larsen, 2003, გვ.101-102).

ძნელია, არ დაეთანხმო ლ.ფ. ლარსენს, როცა ის სწორედ ზემოხსენებულ კონტექსტში მსჯელობს ჰამსუნის შესახებ(აც). მართლაც, „*შეიძლება, მრავალი თვალსაზრისით ითქვას, რომ კნუტ ჰამსუნი გვევლინება თავად პროტოტიპად ამერიკაში წამსვლელი ნორვეგიელი ადამიანისა 1880-იანი წლებში. ის იყო ამბიციებით მდიდარი ახალგაზრდა მამაკაცი, დაუქორწინებელი, განუსწავლელი, რომელსაც ჰყავდა ოჯახის უფროსი წევრები, რომლებიც მასზე ადრე გაემგზავრნენ, და [თავად] ის გზას დაადგა 1882-ში – მაქსიმალური ნორვეგიული ემიგრაციის წელს.*“ (Larsen, 2003, გვ.102) აქ უნდა აუცილებლად აღინიშნოს, რომ ჰამსუნის უფროსი დედმამიშვილი, პეტერი, რომელიც კნუტზე რვა წლით ხნეირი იყო, ამერიკაში ჩავიდა თექვსმეტი წლის ასაკში. კნუტის ამერიკაში გამგზავრებისას ის ცხოვრობდა ელროიში, ვისკონსინში. ჰამსუნს, როგორც ჩანს, კომუნიკაცია ჰქონდა ძმასთან და, დიდი ალბათობით, მან და მასთან ურთიერთობამ წააქეზა მომავალი დიდი მწერალი ამერიკაში წასულიყო ბედის საძიებლად. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია: როცა კნუტი ამერიკაში ჩავიდა, მაშინვე ძმას მიაშურა.

იმავე ლ.ფ. ლარსენს სათანადოდ აქვს შესწავლილი შესაბამისი მასალა (სხვადასხვა გემის მგზავრთა სიები, საემიგრაციო ოქმები და ა.შ.), რის საფუძველზეც ასკვნის (2003, გვ.102), რომ ჰამსუნი ნორვეგიიდან ამერიკაში გერმანიის გავლით გაემგზავრა. 1882 წლის 12 იანვარს მან დატოვა ქრისტიანია (ოსლო) ბრემენის მიმართულებით, საიდანაც ის 15 იანვარს ნიუ-იორკისკენ გაემშურა. ზღვაში გატარებული 17 დღის შემდეგ კი, 1 თებერვალს, ჰამსუნი უკვე ამერიკაში ჩავიდა. მგზავრთა სიიდან ირკვევა, რომ კნუტ პედერსონი (ეს მისი ნამდვილი სახელი და გვარია) მოგზაურობს ე.წ. გემბანის ადგილით, მე-3 კლასით. პროფესიად კი, არც მეტი და არც ნაკლები, მითითებული აქვს „მუშა“. კნუტი ნიუ-იორკში მხოლოდ რამდენიმე დღე გაჩერდა, რის შემდეგაც მატა-

რებლით გააგრძელა გზა დასავლეთისკენ, ელროისკენ, სადაც 19 თებერვლისთვის ჩაადწია, და სადაც მისი ძმა, პეტერი ცხოვრობდა. (Larsen, 2003, გვ.102).

ელროიში, ძალიან მალე, ახალგაზრდა კნუტს თავისი პირველი დიდი „ამერიკული“ იმედგაცრუება ელოდა. აღმოჩნდა, რომ პეტერ პედერსონი სულაც არ ცხოვრობდა ისე უზრუნველად, როგორც ამას მისგან ნორვეგიაში გაგზავნილი წერილები მიანიშნებდა. კნუტის ძმა მკერავად მუშაობდა ერთ ნორვეგიელ ვაჭართან, სახელად თომას მოესთან, თუმცა, ალკოჰოლის ჭარბად მოხმარების გამო, ნამდვილად არ ითვლებოდა ბოლომდე სანდო სუბიექტად. სამსახური კნუტმაც იმავე ვაჭართან დაიწყო, მაგრამ გარკვეული გარემოებების გამო მას აღარ შეეძლო ძმასთან საცხოვრებლად დარჩენა და მალე, იმავე წლის გაზაფხულზე, იშოვა სამსახური ელროის გარეთ როგორც ფერმის მუშამ (gårdsgutt). იმავე, 1882 წლის ზაფხულში ელროი პეტერმაც დატოვა (Larsen, 2003, გვ.103).

1882 წლის შემოდგომაზე კნუტი ისევ ელროიში დაბრუნდა, სადაც მუშაობა დაიწყო როგორც მაღაზიის გამყიდველმა. მაგრამ მანამდე მან, როგორც ჩანს, სამ სხვადასხვა ადგილას სცადა ბედი. თავდაპირველად ის რამდენიმე თვე ცხოვრობდა ოჯახში, გვარად ლავლენდ, შემდგომში ეს ოჯახი, როგორც ვლინდება, ელროის მოსახლეობის რეესტრში მართლაც აღმოაჩინა ჰამსუნის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის კიდევ ერთმა ცნობილმა მკვლევარმა, ჰარალდ ნესმა. თავად ჰამსუნი მათ წესიერ და უბრალო ხალხად მოიხსენიებს (Larsen, 2003, გვ.104). მოგვიანებით, ათწლეულების შემდეგ, ხანგრძლივი ცხოვრებისეული გზის მიწურულს დაწერილ შესანიშნავ მხატვრულ-ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „ბალახმოდებულ ბილიკებზე“ (Paa gjengrodde Stier) ჰამსუნი მოგვითხრობს: „*მე ვიტანჯებოდი მშობლიური მხარის მონატრებით და ხშირად ვტიროდი. ჩემი დიასახლისი გულმოწყალებდ იღიმოდა, მან მასწავლა სიტყვა homesick [ინგლისურად: მშობლიური სახლის/სამშობლოს სევდა]*“ (Hamsun, 1949, გვ. 165). ძნელია, არ დაეთანხმო ლ.ფ.ლარსენს, როცა შენიშნავს (2003, გვ. 104), რომ ახალგაზრდა კაცს იმ მომენტში არც ჰქონდა რაიმე საფუძველი, რათა არსებობისთვის ზედმეტად ნათელი თვალით შეეხედა. მალე ლავლენდების ოჯახში აღარ აღმოაჩნდათ იმის საშუალება, რომ კნუტი თავისთან დაეტოვებინათ. მან სამსახური იშოვა სხვა ფერმაში, რომელიც, როგორც ჩანს, იმდენად ღარიბი იყო, რომ იქ ჰყავდათ მხოლოდ ორი ჯორი და სამი ძროხა. ამ ადგილას მომავალი დიდი მწერალი ასრულებდა ნებისმიერ შემთხვევით თუ არამშემთხვევით სამუშაოს, ჭრიდა შეშას, სასუქი დაჰქონდა მინდვრებზე და ა.შ.. როგორც ჰამსუნი წერს, ცხოვრება ერთფეროვნად მიედინებოდა (Larsen, 2003, გვ.104).

პირობები მესამე სამსახურში, სპიარების (შესაძლო) გერმანული წარმოშობის ოჯახში, როგორც ჩანს, უკეთესი იყო. თუ მწერალს ვერწმუნებით, მათ ჰქონდათ კეთილმოწყობილი სახლი და ფერმა, მოვლილი მინდვრები, ბავშვები არ ჰყავდათ. ჰყავდათ ცხენები და ძროხები. საქმე კი მათთან ძნელი არ იყო. „*კაცი თვითონ წველიდა და უვლიდა ცხოველებს, ჩემი საქმე იყო მიწის დამუშავება, [...] [დიასახლისმა] მასწავლა ბევრი ინგლისური სიტყვა და მომცა პატარა ოთახი ფანჯრით და საწოლით,*“ (Hamsun, 1949, გვ. 169). – წერს ჰამსუნი. სპიარებთან კნუტი მოსავლის აღების დასრულებამდე დარჩა (Larsen, 2003, გვ.104).

როგორც უკვე შევნიშნე, 1882 წლის შემოდგომაზე ჰამსუნი ისევ ელროიში დაბრუნდა, სადაც მუშაობა იქაურ ყველაზე დიდ მაღაზიაში დაიწყო, როგორც ამანათების დამატარებელმა, ხოლო შემდგომში კი მაღაზიის მფლობელმა, ედმუნდ ჰარტმა (ელროის ვაჭრობის მაგნატი და, ამასთანავე, ფოსტის უფროსი. დაბ. 1832 წელს ინგლისში, კორნუოლში) ის გამყიდველის პოზიციაზე გადაიყვანა. „*მე ახლა საყელოთი და გაპრიალებული ფეხსაცმელებით დავდიოდი, ოთახს ქალაქში ვკირაობდი და ვსადილობდი ერთ-ერთ სასტუმროში. ფერმერები, რომლთაც ადრე ვიცნობდი, გაოცებული იყვნენ, თუ როგორ სწრაფად ავიწიე მაღლა*“ (Hamsun, 1949, გვ. 170), – წერს ჰამსუნი.

1884 წლის პირველ თვეებში ჰამსუნი მუშაობს ტყის მასალის კომპანიაში პატარა დასახლება მადელიაში, მინესოტას პრერიის შუაგულში რომელიც ელროიდან 30 მილით დასავლეთით მდებარეობდა და დაახლოებით 500-მდე მცხოვრებს ითვლიდა. მალე კნუტი დაუკავშირდა მწერალსა და უნიტარიზმის (პროტესტანტიზმის ერთერთი მიმართულება; არ აღიარებს სამებას – კ.ლ.) მიმდევარ მღვდელს, ეთნიკურად ნორვეგიელ კრისტოფერ იანსონს, რომელიც გავლენიან პიროვნებად

ითვლებოდა ამერიკელ ნორვეგიელებში. იმავე წლის მარტ-აპრილის მიჯნაზე ჰამსუნის იანსონის პირად მდივანად და მინეაპოლისში დამხმარე მღვდლად ინიშნება (Larsen, 2003, გვ. 105).

ლ.ფ. ლარსენი მართებულად შენიშნავს (2003, გვ. 105), რომ იანსონისგან მიღებული შეთავაზება ჰამსუნისათვის ნიშნავდა არამარტო მუდმივი ანაზღაურებადი თანამდებობით უზრუნველყოფას და, შესაბამისად, სტაბილურობის განცდის შეგრძნებას, არამედ იძლეოდა სოციალური დაწინაურებისა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობასაც. მართლაც, ჰამსუნის აღმოჩნდა შედარებით მოზრდილ ქალაქში, გაცილებით დიდ გარემოში, სადაც აშკარად გაუიოლდა წვდომა წინიერ კულტურაზე და, ასევე, შეეძლო უშუალოდ მიეღო რჩევა-დარიგებანი ლიტერატურულად გამოცდილი დამსაქმებლისგან (Larsen, 2003, გვ. 105).

საუბრობს რა, როგორც თავად უწოდებს, ჰამსუნის სოციალურ გამოცდილებებზე, ერთგვარი შეჯამების სახით ლ.ფ. ლარსენი ასკვნის, რომ მომავალმა დიდმა მწერალმა, მთლიანობაში, „ამერიკული საზოგადოება – ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ: ნორვეგიულ-ამერიკული შუადასავლეთი – ქვემოდან დაინახა. ის არ მიუღიათ, როგორც პატივით გარემოცული მწერალი ან მომხსენებელი, როგორც, მაგალითად, ადრე ბიორნსტიერნე ბიორნსონი მიიღეს. სავარაუდოდ, ამის გათვალისწინება მნიშვნელოვანია, როდესაც ამერიკისა და ამერიკული სულიერი ცხოვრების მიმართ შემდგომში ჰამსუნის საკმაოდ ნეგატიური დამოკიდებულება უნდა შევაფასოთ.“ (Larsen, 2003, გვ. 105).

ისეთ ამბიციურ ადამიანს, როგორც ახალგაზრდა ჰამსუნის იყო, დიდი ალბათობით, ექნებოდა იმედი, რომ სულ მალე ნორვეგიულ-ამერიკული გარემოს უმნიშვნელოვანესი და მოკავშირე ლიტერატურული ფიგურა გახდებოდა. თუმცა, ეს იმედები სწრაფად განადგურდა, ვინაიდან ლუკმა პურისათვის საჭირო მუშაობა მისი დროის უმეტეს ნაწილს უმოწყალოდ ნთქავდა. ამ მხრივ, ჰამსუნის კარიერა მართლაც რომ ერთ ადგილს ტკეპნიდა. ორიოდ ლექსის გარდა, რომლებიც ამერიკაში ჩასვლისთანავე გამოაქვეყნა ჩიკაგოს გაზეთ Norden-ში („ჩრდილოეთი“), მწერლის ამერიკაში ცხოვრების პირველი პერიოდიდან ცნობილია მხოლოდ ერთი, არცთუ გამორჩეული ნოველა საკმაოდ გაცვეთილი თემატიკით, სახელწოდებით „ხეობებიდან“ (Fra Dalene). ამერიკაში ახალგაზრდა ჰამსუნის შემოქმედებითი კრიზისის საჩვენებლად ლ.ფ. ლარსენს მაგალითად მოაქვს ლექსი „გაჭირვებაში“ (I Nød): „ამერიკაში ჩამოსვლამდე ეს ლექსი მას [ჰამსუნს] უკვე ორჯერ ჰქონდა დაბეჭდილი. ამერიკაში კი ის კიდევ ორჯერ გამოაქვეყნა!“ (Larsen, 2003, გვ.106). როგორც იტყვიან, სამწუხაროდ, აქ კომენტარაც კი ზედმეტია! „სამაგიეროდ“, ამ დროისათვის ჰამსუნის აღმავლობის გზაზე მყოფი ნორვეგიული ლიბერალური პოლიტიკური მოძრაობის – „ვენსტრე“ მხარდამჭერად გვევლინება. 1884 წლის იანვარში, მინეაპოლისში, პეტერსონ ჰოლში გამართულ შეხვედრაზე დაარსდა „ვენსტრეს“ ნორვეგიულ-ამერიკული გაერთიანება (Den norsk-amerikanske Venstreforening), რომლის მიზნებში სახელდებოდა ამერიკელ ნორვეგიელებსა და ნორვეგიის სახალხო პარტიას (იგივე პარტია „ვენსტრე“ – კ.ლ.) შორის მჭიდრო ურთიერთობისთვის ხელშეწყობა, ასევე ნორვეგიის პარლამენტის „ვენსტრეს“ გაერთიანებისათვის თანხითაც დახმარება. ჰამსუნის ძალზე აქტიურად უჭერდა მხარს ყოველივე ზემოხსენებულს. 1884 წლის 5 მაისს ის სიტყვით გამოვიდა პეტერსონ ჰოლის ტრიბუნაზე. ღონისძიება, რომელშიც ჰამსუნმა მიიღო მონაწილეობა სულ ხუთ დღეს გაგრძელდა, თავისი საბაზრო აქტივობებით, სხვადასხვა გათამაშებებით, კულინარიული მომსახურებით და ა.შ.. შედეგად, „ვენსტრეს“ პარტიას ნორვეგიაში. მთელი 459.55 დოლარი (რაც დღევანდელი ღირებულებით, სულ მცირე, 15-16 ათას ამერიკულ დოლარს მაინც შეადგენს - კ.ლ.) გადაეგზავნა. როგორც ლ.ფ. ლარსენი შენიშნავს, იმაში, რომ თანხა ასეთი სოლიდური გამოვიდა, გარკვეულწილად, კნუტ ჰამსუნის დამსახურებაც იყო (Larsen, 2003, გვ. 106-107).

უნდა, ამავდროულად, ისიც ითქვას, რომ ჰამსუნს მაშინ ძალიან (და, შეიძლება, ყველაფერზე უფროც) აწუხებდა არა იმდენად პოლიტიკური ან თუნდაც ლიტერატურული, არამედ რელიგიური კითხვები. ასე, მაგალითად, მან წაიკითხა რამდენიმე ლექცია დიდი ნორვეგიელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ბიორნსტიერნე ბიორნსონის შესახებ, მათ შორის იმავე ელროიში 1882 წლის ნოემბერში, მაგრამ შეეხო არა მხოლოდ მის შემოქმედებას და პოლიტიკურ მოსაზრებებს: ჰამსუნმა დასვა გარკვეული რელიგიური აქცენტებიც და განსაკუთრებულად ისაუბრა ბიორნსონზე როგორც თავისუფალ(!) მოაზროვნეზე. იმ ხანებში ჰამსუნის მიერ წაკითხული სხვა ლექციების სათაურები

კარგად ავლენს მის დამოკიდებულებას რელიგიური საკითხების მიმართ. ელროში მან წაიკითხა ლექცია პავლე მოციქულზე. მადელიაში კნუტის მოხსენების თემა იყო „მოსეს წიგნების ღმერთი“, მოგვიანებით კი, ისევ იმავე ადგილას, – „ებრაელები აბრაამიდან დღემდე“. (Larsen, 2003, გვ.107). „როგორც ჩანს, შემთხვევითი არ იყო, რომ ჰამსუნმა ასეთი ახლო თანამშრომლობა დაამყარა სწორედ უნიტარ კრისტოფერ იანსონთან. უნიტარები დოგმატურ საკითხებში საეკლესიო თავყრილობათა შორის ყველაზე ლიბერალურნი იყვნენ“, – ირწმუნება ლ.ფ. ლარსენი (Larsen, 2003, გვ.108). მართლაც, იმ დროს ბევრი ადამიანის თვალსაზრისით უნიტარები ინტელექტუალების ეკლესიად აღიქმებოდნენ, რასაც, სავარაუდოდ ჰამსუნიც არ უარყოფდა.

ჩემი გადასახედიდან, სავსებით ლოგიკური და არგუმენტირებულია ლ.ფ. ლარსენის მსჯელობა მაშინაც, როცა მიიჩნევს (2003, გვ.108-109), რომ იანსონმაც და ჰამსუნმაც კარგად გაიაზრეს ყველაფერი, სანამ ხანგრძლივ თანამშრომლობას დააპირებდნენ. ერთის მხრივ, ჰამსუნისთვის იანსონის, შეიძლება ითქვას, მარჯვენა ხელად დანიშვნა იქნებოდა იმ ხანგრძლივი გზის დასასრული, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა. მეორეს მხრივ, იანსონისთვის ჰამსუნი წარმოადგენდა ენერგიულ და ინტელექტუალურ ახალგაზრდას, რომელსაც მასთან უამრავი რამ გააჩნდა საერთო: პოლიტიკური სიმპატიები; სწავლების გამოცდილება და, ზოგადად, დადებითი დამოკიდებულება საგანმანათლებლო საქმიანობისადმი; რელიგიური ინტერესები და მოხსენებებით გამომსვლელის კარიერა, მათ შორის რელიგიურ საკითხებზეც; ძლიერი ინტერესი მხატვრული ლიტერატურის მიმართ და კიდევ ბევრი სხვა მნიშვნელოვანი რამ. „შეეძლო იანსონს ჰკონოდა იმედი, ოდესმე ეპოვა უკეთესი კვალიფიკაციის ნორვეგიელი დამხმარე აქ, ამ შუადასავლეთში?“ - თითქოს რიტორიკულად, თუმცა სრულიად მართებულად, კითხულობს ამ მიმართულებით მსჯელობის ბოლოს დ.ფ. ლარსენი (Larsen, 2003, გვ.109).

ჰამსუნი ძალზე სწრაფად და თან საფუძვლიანად ინტეგრირდა უნიტართა ინტელექტუალურ და საზოგადოებრივ გარემოში. ის არ იყო მხოლოდ მდივანი, არამედ კითხულობდა საკვირაო ქადაგებებს სამრევლოსთვის, როდესაც კ. იანსონი სხვა საქმით იყო ხოლმე დაკავებული. მისი ქადაგებების თემები, მაგალითად, 1884 წლის მაის-ივნისში („მომავლის რელიგია“, „უნიტარიზმის განვითარების გზა“), არაფრით ჩამორჩებოდა იანსონისას, თუნდაც მსოფლმხედველობრივი უნიტარულობის თვალსაზრისით. ასევე საგულისხმოა, რომ კნუტი იანსონს ძალზე ენერგიული ძალისხმევით გამოექომაგა საგაზეთო პოლემიკაში, როდესაც ამ უკანასკნელს ჩიკაგოში ლექციების სერიის შემდეგ გაზეთ Skandinaven („სკანდინავიელი“-ის საშუალებით დოქტორი იულსონი დაესხა თავს (Larsen, 2003, გვ.109).

ყველაფერი თითქოს ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ ჰამსუნის პირველი ვიზიტი ამერიკაში მაინც უეცრად და სრულიად მოულოდნელად დასრულდა. როგორც კრისტოფერ იანსონი თავის მოგონებებში იხსენებს (1913, გვ. 221), ერთხელ ბაზრობაზე კნუტი ძალიან ცუდად გახდა: რაღაც ჩასწყდა მკერდში და სისხლი (გადმო)აფურთხა. ნორვეგიელმა ექიმმა მას დაჟინებით ურჩია დაუყოვნებლივ დაშვიდობებოდა მინესოტას კლიმატს, თორემ სამ თვეში დაასრულებდა სიცოცხლეს სწრაფად პროგრესირებადი ტუბერკულოზით. ამის შემდეგ ავადმყოფი თითქმის ორი თვე იწვა სახლში იმავე კ. იანსონთან, კნუტი თავს სიკვდილიმისჯილად თვლიდა, უმძიმეს ფსიქოლოგიურ კრიზისს განიცდიდა და, თუ მას დაეჯერება, გარკვეული პირომანული მიდრეკილებებიც კი განუვითარდა: „ქალბატონ იანსონს ეგონა, რომ გავვიყდი. მანამდე არასოდეს მესმოდა ნერონის აღფრთოვანება რომის ხანძრის გამო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ ღამეს ჩემს ოთახში ფარდები დავეწვი,“ – წერს მოგვიანებით ჰამსუნი (1994, გვ. 99). როგორც ლ. ფ. ლარსენი მართებულად შენიშნავს (2003, გვ. 111), თუ ეს ისტორია სიმართლეა, მაშინ არცაა გასაკვირი, რომ იანსონების ოჯახმა მის ნორვეგიაში გასამგზავრებლად ფულის შეგროვების აქტიური კამპანია წამოიწყო. ასეა თუ ისე, ჰამსუნმა მინეაპოლისი დატოვა. იმავე ლ.ფ. ლარსენის გათვლით (2003, გვ.112), კნუტი ამერიკიდან 1884 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში გაემგზავრა, ე.ი. მან იქ დაახლოებით ორი წელი და ექვსი თვე გაატარა. ნორვეგიაში, კერძოდ კი ქრისტიანიამდე (ოსლო) ჩასადღწევად, როგორც ჩანს, ჰამსუნმა შემოვლითი მარშრუტი ამჯობინა – ნიუ-იორკიდან ბელფასტის (ირლანდია), ლივერპულისა და ჰალის გავლით.

„ამერიკაში პირველად ცხოვრების ბოლოს ჰამსუნის მიერ მიღებულმა „სასიკვდილო განაჩენმა“, სავარაუდოდ, დიდი მნიშვნელობა იქონია როგორც მის პიროვნულ და მსოფლმხედველობრივ განვითარებაზე, ისე მის შემდგომ შემოქმედებაზე. ფსიქოლოგიურმა ჩაკეტილობამ, რისკენაც ახლა ის თითქმის აიძულა გარემოებებმა, გამოიწვია, რომ მის სამწერლობო საქმიანობაში გაძლიერდა „მე“-ზე ფოკუსირებული, ავტობიოგრაფიული ასპექტი. თანდათან სწორედ ამ გზაზე იპოვა მან საკუთარი გამორჩეული ხმა როგორც მწერალმა“ (Larsen, 2003, გვ. 111),

– აცხადებს ლ.ფ. ლარსენი. მართლაც, „საკუთარი ამერიკული გამოცდილებით, ჰამსუნმა გარკვეულწილად გაიგო, თუ როგორ რეაგირებს ადამიანი, როდესაც ის უცარი და მოულოდნელი სიკვდილის საფრთხის წინაშე დგება“ (Larsen, 2003, გვ. 111). ხსენებული მტკივნეულად დრამატული გამოცდილება მან შემდგომში ოსტატურად გამოიყენა საკუთარ შემოქმედებაში. იმავე ლ.ფ. ლარსენის კარგად არგუმენტირებული მოსაზრებით (2003, გვ.111), სხვადასხვა ფსიქოლოგიური ფაზები, რომელსაც ადამიანი ასეთ სიტუაციაში გაივლის, ჰამსუნმა სანდოობის მაღალი ხარისხით გადმოსცა, მაგალითად, რომან „მაწანწალებში“.

ჩემი აზრით, ლ. ფ. ლარსენის მსჯელობა მაშინაც სათანადოდაა არგუმენტირებული, როცა მკვლევარი მიიჩნევს, რომ 1884 წლის აგვისტოში ჰამსუნის ამერიკიდან გამგზავრება არ ყოფილა დროთა განმავლობაში მიღებული რაციონალური გადაწყვეტილება, გამოწვეული ემიგრანტული ცხოვრებისადმი იმედგაცრუებით ან ძლიერი ზიზღით ყოველივე ამერიკულის მიმართ, და რომ კნუტს განზრახული ჰქონდა ქვეყანაში თუ სამუდამოდ არა, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით დიდხანს დარჩენა მაინც. შედეგად, ლარსენის მოსაზრებით, ამ უნებლიე და იძულებითმა დაბრუნებამ ჰამსუნს გაუძლიერა განცდა, რომ ცხოვრება და არსებობა იყო მხოლოდ რაღაც წარმავალი და შემთხვევითი, და რომ ის როგორც „ყოფიერების უცხოელი“ (Tilværelsens Udlanding) ისე მოგზაურობდა ამ არამდგრად და არასტაბილურ სამყაროში. გავიდა ორი წელი და ჰამსუნი კვლავ ეწვია ამერიკას, ლარსენის ვერსიით (2003, გვ. 113), ამჯერად განსხვავებული ზრახვებით: მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ამ ქვეყნის დატოვება, როგორც კი მცირე თანხას დააგროვებდა.

ნორვეგიაში 1884 წელს დაბრუნების შემდეგ ჰამსუნმა აქტიურად დაიწყო წერა და მოხსენებებით გამოსვლა, იმავდროულად მუშაობდა ფოსტის მოხელედ აურდალში (ვალდრესი). ამ პერიოდში მან გაზეთ Aftenposten-ში ამერიკის შესახებ ოთხი ვრცელი სტატია გააგზავნა, ასევე, Verdens Gang-ისთვის შექმნა კრისტოფერ იანსონის მეგობრული პორტრეტი, ხოლო Illustreret Nyhedsblad-ისთვის – მარკ ტვენის შემოქმედებისადმი დადებითად განწყობილი სტატია. ჰამსუნის პირველი (ევროპული) გამომხატურებები ამერიკის შესახებ კრიტიკული იყო, თუმცა არც მთლად სიმპათიის გარეშე. კნუტი საკუთრივ დემოკრატიის იდეას, ასე თუ ისე, მაინც აქებდა, თუმცა სკეპტიკურად იყო განწყობილი დემოკრატიული ინსტიტუტების მომავლის მიმართ (Næss, 1967, გვ. 307).

ჰამსუნის სტატია სახელწოდებით „ამერიკული ხასიათი“, პირველად გამოქვეყნდა ცნობილ და ძალზე ანგარიშგასაწევ გაზეთ Aftenposten-ში 1885 წლის 21 იანვარს და, ჰამსუნის მკვლევარ ტომ კონერის აზრით (2016, გვ.186), ჩანასახოვან ფორმაში წარმოაჩენს იმ კრიტიკას, რასაც ჰამსუნი მოგვიანებით განავითარებს ნაშრომში „თანამედროვე ამერიკის სულიერი ცხოვრებიდან“. ტ. კონერი ყურადღების გარეშე არ ტოვებს (2016, გვ.187), მაგალითად, იმ მომენტს, რომ ჰამსუნი მიუთითებს „სხვადასხვა სახის ხალხის შერევის საფრთხეზე თავისუფალ, უკონტროლო, არამყარ გარემოში“ (Hamsun, 2003, გვ.17). ჰამსუნის გადასახედიდან, „საფრთხე მით უფრო დიდია ამერიკაში, სადაც ემიგრანტთა გემები – დაავადებული და დეგენერატი ადამიანური ნედლეული – ყოველდღიურად შემოდის მთელი მსოფლიოდან“ (Hamsun, 2003, გვ.17-18). ტომ კონერი მიიჩნევს (2016, გვ.188), რომ ასეთ სტრიქონებში რეტროსპექტულად ადვილია ამოვიცნოთ რასისტული ტონები ჰამსუნის მოგვიანო ფილოსოფიიდან.

ტომ კონერი ასევე მართებულად შენიშნავს (2016, გვ.188), რომ მომავალი დიდი მწერალი ვერ მალავს აღფრთოვანებას თანამედროვე ამერიკული ქალაქის ცხოვრების ექსტრავაგანტულობით, ყველაფერი იმით, რასაც ის იქ ყოველდღიურად ხედავს (ცათამბჯენები, ტრამვაი, უნივერსიტეტები,

ლიფტები და ა.შ.), მაგრამ ამავე დროს, აშკარად შეშინებულია მათი პოტენციალით, დაარღვიონ ცხოვრების უფრო ტრადიციული წესი. ჰამსუნი თითქოს იმაზე მიანიშნებს, რომ ტექნიკური წინსვლა კარგია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის როგორღაც იქნება შეკავებული და არ გახდება მთელი ცივილიზაციის მორალური საფუძველი, არ ჩამოყალიბდება ახალი სამყარო, რომელსაც აღარ ექნება კავშირი წარსულთან. ეს ხაზი, სხვათა შორის, მოგვიანებით მკაფიოდაა გატარებული ჰამსუნის ნობელის პრემიით გამორჩეულ რომანში – „მიწის მადლი“ (Conner, 2016, გვ.188).

რაც შეეხება „ნიუ-იორკს“, რომელიც 1885 წლის 12 და 14 თებერვალს გამოქვეყნდა იმავე გაზეთ Aftenposten-ში, მასთან დაკავშირებით ბოლომდე ვერ დავეთანხმები ტ. კონერს იმ მოსაზრებაში, რომ, წინა სტატიისგან განსხვავებით, აქ ნაკლებადაა რამე ისეთი, რაც გააღვივებს ჩვენს ინტერესს ან დამატებით წარმოდგენას შეგვიქმნის ჰამსუნის შეხედულებებზე ამერიკის შესახებ, და ეს იმისდა მიუხედავად, რომ მომავალი დიდი მწერალი აქაც თანამედროვე მეტროპოლისის ცხოვრების შეუვალ კრიტიკოსად რჩება (Conner, 2016, გვ. 189). ჰამსუნი ხაზს უსვამს ყოველივე ამერიკულის შთამბეჭდავ მასშტაბებს, ის აშკარად არ გვევლინება უბრალო მოსახლეობის მეგობრად და, საზოგადოდ, საკმაოდ დაბალ შეფასებას აძლევს საშუალო ამერიკელს, მათ შორის, იმის გამოც, რომ ეს უკანასკნელი ღარიბი და გაუნათლებელია, მიდრეკილი ისეთი სიამოვნებებისკენ, როგორცაა ალკოჰოლი და ქალები. თუმცა, და კნუტმა ეს უკვე კარგად იცის, ამერიკაში, იმავდროულად ყველგანაა შესაძლებელი (სოციალური) აღმასვლა (Hamsun, 2003, გვ. 27). ჰამსუნის აღქმით, ამ ქამელეონ ქალაქში, სადაც ადამიანი შეიძლება ერთ დღეში აღზევდეს ან დაეშოს, არავის ცხელა შენთვის, ყველა თავის საქმითაა დაკავებული. ჰამსუნის აღრფთოვანებას, ცხადია, არც ის იწვევს, რომ, მისი აზრით, ნიუ-იორკელებმა, ისევე როგორც, საერთოდ, ამერიკელებმა, „ცოტა რამ იციან ლიტერატურისა თუ ხელოვნების შესახებ“ (Hamsun, 2003, გვ.29). მათ აქვთ უსაზღვროდ რომანტიკული წარმოდგენა იმაზე, თუ რა არის კარგი ლიტერატურა. მათთვის ამას ბედნიერი დასასრული წარმოადგენს, სადაც ორი მთავარი პერსონაჟი „ერთმანეთს პოულობს“ (Conner, 2016, გვ. 189).

1886 წელს, სხვადასხვა გარემოებათა გამო, როგორც უკვე აღვნიშნე, ჰამსუნი ევროპიდან ისევ მიემგზავრება ოკეანის გადაღმა. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ კნუტი მუშაობას იწყებს ჩიკაგოში ახალი საბაგირო გზის მშენებლობაზე. შემდეგ ისევ იქ, მაგრამ ამჯერად ტრამვაის კონდუქტორად ჰოლსტედის ხაზზე. ჩიკაგოში გატარებული რვა თვის შესახებ ბევრი რამ არ ვიცით. თუ ჭორებს ავყვებით, ქუჩების სახელების დასწავლის ნაცვლად ჰამსუნი თურმე არისტოტელეს კითხულობდა და მალე სამსახურიც დაკარგა, ვინაიდან უკმაყოფილო მგზავრებმა უფროსობასთან უჩივლეს. თავად ჰამსუნი, ისევე როგორც ერთი მისი ძველი კოლეგა, ამ ხმებს უარყოფენ. 1887 წლის ზაფხულში კნუტი ჩრდილოეთ დაკოტაში, კასელტონთან ახლოს, რედ-რივერის ველზე მუშაობს. ნორვეგიული გაზეთისთვის – „ვერდენს განგ“ (Verdens Gang) გაგზავნილ წერილში ის საუბრობს მძიმე ფიზიკურ შრომასა და მკაცრ დისციპლინაზე დალრიმპლის ფერმებში, თუმცა არც პრერიის ბუნებრივ სილამაზესა და კოლორიტული ამხანაგებს ივიწყებს, რომლებიც შემდგომში მის მცირე ზომის მოთხრობებშიც გამოჩნდებიან. (Næss, 1967, გვ. 308).

ბოლო ამერიკული წელი ჰამსუნმა მინეაპოლისში გაატარა. გარდა საკუთარი დანაზოგისა, ის თავის ირჩენდა ე.წ. ფხიზელი ცხოვრების წესის მხარდამჭერთა შემწეობებითაც, რომელთა გაზეთშიც დროდადრო აქვეყნებდა ხოლმე სარედაქციო წერილებს (ე.წ. ედიტორიალებს). სხვათა შორის, ეს ხალხი კნუტს დაეხმარა ლიტერატურის შესახებ თორმეტი მოხსენებისგან შემდგარი ციკლის ორგანიზებაშიც, რომელიც ჰამსუნმა 1888 წლის დასაწყისში წაიკითხა. სალექციო თემები ეხებოდა ბალზაკს, ფლობერს, ზოლას, აგრეთვე იბსენს, სტრინდბერგსა და სხვა სკანდინავიელ მწერლებს. (Næss, 1967, გვ. 308). აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჰამსუნის ბოლო ლექცია, „ცხოვრება მინეაპოლისში“. ის წარმოადგენდა ორსაათიან უმწვავეს გამოსვლას, სადაც მომხსენებელმა სასტიკად დაემო მინეაპოლისი, როგორც შუა დასავლეთის კულტურული ცენტრი, „და მოასწავებდა ჰამსუნის დაუნდობელ თავდასხმას ამერიკულ ცივილიზაციაზე, რომელიც [მან] შვიდი თვის შემდეგ განახორციელა“. (Næss, 1967, გვ. 308).

ძალიან მალე, უკვე 1888 წლის ივლისში, კნუტი ევროპაში ბრუნდება. მიუხედავად იმისა, რომ აქ ის კოპენჰაგენის ერთ-ერთ მანსარდაში, ფაქტობრივად, შიმშილობს დარჩენილი ზაფხუ-

ლისა და ადრეული შემოდგომის განმავლობაში, ერთ ამერიკელ მეგობარს მაინც შემდეგს ეუბნება: „[...] რაოდენ საამური ჩემთვის ეს ქვეყანა! გარწმუნებ, აქაური მთელი ყოფა, ცხოვრების წესი, ღრმა ჰარმონიაშია ჩემს შინაგან სამყაროსთან, ჩემს ბუნებასთან. აქ ევროპაა, მე კი ევროპელი ვარ, მაღლობა ღმერთს!“ (Hamsun, 1994, გვ. 78). მალე ჰამსუნს წერს თავის მეორე სტატიას კრისტოფერ იანსონის შესახებ, აქვეყნებს ფრაგმენტს მომავალი რომანიდან „შიმშილი“ და კოპენჰაგენელ სტუდენტებს უკითხავს ლექციებს ამერიკაში ცხოვრების შესახებ. ცოტა მოგვიანებით, 1889 წლის აპრილში, ამ ლექციების საფუძველზე გამოვა წიგნი, სახელწოდებით: „თანამედროვე ამერიკის სულიერი ცხოვრებიდან“ (Næss, 1967, გვ. 308).

მეტწილად, სწორედ ზემოხსენებული ლექციების წყალობით მოხდა, რომ ჰამსუნმა ამ წიგნის დასაწერად დაკვეთა მიიღო, ვინაიდან კოპენჰაგენის სტუდენტურ ასოციაციაში წაკითხულმა მისმა მოხსენებებმა მართლაც რომ უჩვეულო ყურადღება მიიპყრო. სხვათაშორის, ჰამსუნის აზრით, ეს აღფრთოვანებული მიღება სრულიად დაუმსახურებელი იყო და ამ წიგნის თემატაც მისთვის მალევე დაკარგა ინტერესი. თუმცა, ერთ პირად წერილში მაინც წერდა: „მაგრამ ახლა რაკი დავიწყე, უნდა დავამთავრო კიდევ“ (Rasmussen, 2020, გვ. 317). შედეგად, როგორც მკვლევარი ვინსენტ რასმუსენი წერს (2020, გვ. 317-318), ეს წიგნი, ძირითადად, სენსაციულად გათვლილ რეკლამად იქცა გამოცემული მწერლისთვის, რომელსაც კოპენჰაგენის ლიტერატურულ სცენაზე საკუთარი რეპუტაციის დამკვიდრება სურდა.

ჰამსუნის მკვლევარ ჰარალდ ნესს მიაჩნია (1967, გვ. 308), რომ წიგნის უპატივცემულო (მე დავმატებდი, ზოგჯერ აგდებულიც კი – კ.ლ.) ტონი ნაწილობრივ იმითაც უნდა აიხსნას, რომ ავტორი კოპენჰაგენში მოხსენებებით გამოსვლისას ნებისმიერ ფასად ცდილობდა მსმენელთა გართობა-გახალისებას, თუმცა, ასევე ნათელია, რომ ამ დროისთვის ჰამსუნს ამერიკისადმი უწინდელი (თუნდაც ერთგვარი) პატივისცემა უკვე დაკარგული აქვს. გარდა ამისა, ჰ. ნესის დაკვირვებით (1967, გვ. 308-309), კრისტოფერ იანსონზე დაწერილი სტატია ააშკარავებს ჰამსუნის ახალ მიმართულებას – გამოიკვანას დემოკრატიისა და ნატურალისტური შემოქმედებისაგან ახალი არისტოკრატიზმისკენ და ისეთი ლიტერატურისკენ, რომელსაც არა მექლისები და ნიშნობის წვეულებები, არამედ „სისხლის ჩურჩული და ძვლის ტვინის მუდარა“ (Hamsun, 1890, გვ. 333) აინტერესებს. „ამერიკაში კვლავ გამოჩენას, ნაღდად, ვედარასოდეს შევძლებ“, – არცთუ უსაფუძვლოდ ვარაუდობდა ჰამსუნს ზემოხსენებული სკანდალური წიგნის გამოსვლის შემდეგ (Rasmussen, 2020, გვ. 318). რაც შეეხება კოპენჰაგენის ლიტერატურულ სივრცეს, ნაშრომი, შეიძლება ითქვას, იქ გარკვეულ სენსაციად იქცა. რეალურად ეს იყო გადამლამებული მონათხრობი იმ ქვეყნის გაურანდავ ხასიათზე, სადაც წინა ათწლეულებში უამრავი სკანდინავიელი გადასახლდა. ჰამსუნს, სხვა მომენტებთან პარალელურად, დაუნდობლად ხატავს ამერიკის პორტრეტს, იძლევა ამერიკული ნაციონალიზმის, სასამართლო სისტემის ქაოტური მდგომარეობისა და სკოლების მძიმე პირობების კრიტიკას (Rasmussen, 2020, გვ. 318).

კნუტი, როგორც ყველაფრიდან ირკვევა, ამერიკაში მეორე მოგზაურობის შედეგად(აც) უაღრესად იმედგაცრუებული დარჩა, რადგან ვერ მიაღწია იმას, რაც ჰქონდა განზრახული. თუმცა, ვ.რასმუსენი გვთავაზობს, ჩემი აზრით, ძალზე საინტერესო დაკვირვებას, ირწმუნება რა, რომ ოკეანის გადაღმა ეს მეორე ვიზიტი უმნიშვნელოვანესი მომენტი აღმოჩნდა დამწყები ავტორისთვის: უახლოეს მომავალში ჰამსუნს ნაციონალიზმის ტრადიციული ფორმების მიმართ გულწრფელი მიუღებლობა ჩამოუყალიბდა და მხარი დაუჭირა მულტიკულტურალიზმის გარკვეულ ფორმას. (Rasmussen, 2020, გვ. 318). ასე, მაგალითად, ის მზადყოფნას აცხადებს, თავის ნაწერებში გამოიყენოს უცხოური, გამორჩეულად კი ინგლისური, სიტყვები. უფრო მეტიც, ჰამსუნს იქვე დასძენს: „მე აღარ ვფიქრობ და ვგრძნობ, როგორც ნორვეგიელი, არამედ როგორც ევროპელი“ (Rasmussen, 2020, გვ. 318). ჰამსუნის გვიანდელი ნაციონალიზმისა და, აგრეთვე, ყველაფერი ინგლისურის მიმართ აგრესიულად უარყოფითი დამოკიდებულების მცოდნეთათვის ლამის დაუჯერებელი უნდა იყოს ზემოხსენებულის წაკითხვა.

დავუბრუნდეთ ისევ ჰამსუნის სკანდალურ წიგნს. იქ მწერალი, ერთის მხრივ, ამერიკელებთან კარგად გაცნობის ხერხს გვიმხელს: „ყოველდღიურ ყოფით ურთიერთობებში, სასამართლო

სხდომებსა და საეკლესიო მსახურებებზე დასწრებით, თეატრისა და ლიტერატურის შესწავლით, აღმოსავლეთისა და დასავლეთში მოგზაურობით, მათ სოციალურ ცხოვრებაში, სკოლებსა და ოჯახურ წრეებში შესვლით, მათი გაზეთების კითხვითა და ქუჩებში მათი საუბრების მოსმენით, მათთან ერთად მდინარეებზე ნაოსნობითა და პრერიებში მათ გვერდით მუშაობით...“ (Hamsun, 1962, გვ.16-17); მაგრამ, მეორის მხრივ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მომავალ დიდ მწერალს სულ სხვა ცხოვრება ჰქონდა ამერიკაში. როგორც ჰ.ნესი შენიშნავს (1967, გვ. 309), ჰამსუნი მართლაც მოგზაურობდა და არაერთი საქმიანობა გამოსცადა, მიუხედავად ამისა, მისი გამოცდილება მაინც საკმაოდ შეზღუდული იყო. ჰამსუნს, განსხვავებით იმისა, რაც მისი ნაწერებით შეიძლება იფიქროს მკითხველმა, სულაც არ უმუშავია მეთევზედ ნიუფაუნდლენდის სანაპიროებთან, არც მუშა ყოფილა კალიფორნიის ვენახებში და არც კოლორადოში უსარგებლია შვებულებით, არასოდეს უნახავს ამერიკის ყველაზე შთამბეჭდავი მთები, არც უდაბნოები უნახავს და ამერიკის სამხრეთშიც საერთოდ არ იყო ნამყოფი. მის ნაცნობებსა და სამეგობროს შეადგენდნენ მხოლოდ მცირე მიწათმფლობელები, ხელოსნები, კლერკები და სკოლის მასწავლებლები, რომლებიც ძირითადად სკანდინავიელები იყვნენ ანუ განეკუთვნებოდნენ ამერიკის ელიტაში ნაკლებად პრესტიჟულ ეთნიკურ ჯგუფს. მეტიც, თავად ნორვეგიელთა რიგებშიც კი, ისინი ბევრად დაბლა იდგნენ მღვდლების, პოლიტიკოსებისა და გავლენიანი ბიზნესმენებისგან შემდგარ მმართველ კლასზე (Næss, 1967, გვ. 309).

3. ნესის მიხედვით, (1967, გვ. 309), ჰამსუნი არასოდეს შეხვედრია ამერიკის ინდუსტრიის, პოლიტიკისა თუ ხელოვნების ლიდერებს. მკვლევარი ასევე იხსენებს, რომ, თავის დროზე, ბიორნსონი უბრალოდ გაოგნებული იყო ამერიკელ სკანდინავიელთა უვიცობისა და ცრურწმენათა დონით. ჰამსუნი სწორედ ასეთ ხალხში ტრიალებდა, ე.წ. ახალდასახლებულ ტერიტორიებზე, სადაც მამაკაცები და ქალები მატერიალური არსებობისთვის ყოველდღიური ბრძოლის შემდეგ დარჩენილ დროს ნაციონალისტურ და რელიგიურ ბანალურობას უთმობდნენ. „ჰამსუნს ამ ხალხთან მიღებული გამოცდილება ძნელად თუ მისცემდა შესაფერის მასალას წიგნისათვის ამერიკული ცივილიზაციის შესახებ“ (Næss, 1967, გვ. 310), – სამართლიანად დასძენს მკვლევარი.

რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, ჰამსუნმა ამერიკული სინამდვილის შესახებ თავის ამ წიგნს სამეცნიერო ანგარიში უწოდა. შესაბამისად, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ის გარკვეულ წყაროებსაც უნდა ეყრდნობოდა. 3. ნესი ვარაუდობს, რომ ჰამსუნს წაკითხული ექნებოდა 1881 წელს გამოსული კრისტეფორ იენსონის წიგნი „ამერიკული პირობები“. თავის მხრივ, ჰამსუნი ირწმუნებოდა, რომ წერის მომენტში არ ჰქონდა ხელმისაწვდომი წერილობითი წყაროები, რაც შესატყვისობაშია იმასთან თუ როგორ შევარდა იგი კოპენჰაგენის საჯარო ბიბლიოთეკაში, მოითხოვა წიგნები ამერიკაზე და მიიღო სკანდინავიური ენციკლოპედია, რომელსაც მოწყურებული დაეწავა. 3. ნესის აზრით (1967, გვ. 310), ჰამსუნი მიმართავს შემდეგ წყაროებს: ენციკლოპედია „ბრიტანთა“, The North American Review, The Fortnightly Review, The International Review და ყოველკვირეული გაზეთი „ამერიკა“. იმავდროულად, ჩემი აზრით, მკვლევარი სრულიად მართალია, როცა აცხადებს, რომ „მისი [ანუ ჰამსუნის] თეორიები უკვე [წინასწარ] ჩამოყალიბებული იყო; მხოლოდ იმ მიზნით, რომ მათთვის რაიმე მეცნიერული საყრდენი მიეცა, ის შემთხვევითობის პრინციპით ციტირებდა ნებისმიერ ავტორს, რომელიც, თითქოსდა, მხარს უჭერდა მის არგუმენტს“ (Næss, 1967, გვ. 311).

ის რომ ჰამსუნი ამ წიგნსაც შესანიშნავ სტილში წერს და მკითხველი მონუსხული ჰყავს ყოვლისმომცველი ირონიითა და სახალისო მაგალითებით, ფართოდაა აღიარებული. თუმცა, მაინც მიჭირს არ დავეთანხმო 3.ნესს, რომ ჰამსუნის წიგნი ამერიკაზე შედგება უმეტესწილად ბანალური, ზედაპირული დაკვირვებებისგან, კომენტარებისგან ამერიკელების სულსწრაფობასა და მოუსვენრობაზე, უცხო ქვეყნებში არსებული ვითარების უცოდინრობაზე, მათ გადამლამებულ პატრიოტიზმზე, ვულგარულ გემოვნებაზე, ძალადობრივი ქცევისკენ მიდრეკილებაზე, მათთვის ეკლესიაში სიარულის მნიშვნელობაზე და ა.შ. (Næss, 1967, გვ. 311). მთლიანობაში, მართლაც საოცრად მახვილგონივრულად შენიშნა სახელგანთქმულმა დანიელმა თეორიტიკოსმა და კრიტიკოსმა, გეორგ ბრანდესმა Verdens Gang-ის ჯერ კიდევ 1889 წლის 9 მაისის ნომერში, რომ ასე, ჰამსუნის მეთოდის გამოყენებით, შესაძლებელი იქნებოდა ასეთივე წიგნის დაწერა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაზე (Næss, 1967, გვ. 311).

ჰამსუნის წიგნში ამერიკაზე ჩვენ პირველად გვხვდება გარკვეული გამოვლინებები სოციალური შეხედულებებისა, რომლებიც შემდგომში მისი შემოქმედების ერთგვარი მსოფლმხედველობრივი საფუძველი გახდება. ასე, მაგალითად, მიუხედავად იმისა რომ ანარქისტი არ ყოფილა, და, საზოგადოდ, წინააღმდეგი იყო თანასწორობის ყოველგვარი იდეისა, როგორც ხელოვანი ის არ ემიჯნებოდა მათ ფილოსოფიას, რომელიც, მის აღქმაში, როგორც ჩანს, ენათესავებოდა მისსავსე ლიტერატურულ პროგრამას, იყო რა ავანგარდული და მკვეთრად ინდივიდუალისტური. (Næss, 1967, გვ. 311). ჰამსუნის ამ ადრეულ წიგნში შესაძლებელია ნაცისტურ მიდრეკილებათა გარკვეული გამოვლინებების შემჩნევაც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ბოლომდე მაინც არ ატარებს სისტემურად ჩამოყალიბებული იდეოლოგიური შეხედულებების ხასიათს. ჰამსუნი გამორჩეულად აგრესიულად და ვულგარულად ესხმის თავს იმდროინდელი ამერიკული საზოგადოების ე.წ. არაპრივილიგებულ ფენებს ინდიელების, ქალებისა და, განსაკუთრებით კი, აფროამერიკელების სახით: „აქ ჰამსუნის ენა უახლოვდება ღარიბი თეთრკანიანის ყველაზე უარეს შეურაცხმყოფელ სლენგს. თუმცა, ის ამ პრობლემას სწორედაც რომ მათი დონიდან უყურებს: კონკურენციის მოშიში თეთრკანიანი ბუმბ რეაგირებს თავისი შავკანიანი ამხანაგის კვების ჩვევებსა და სექსუალურ ენერგიაზე“ (Næss, 1967, გვ. 311).

რაც შეეხება ქალებს, მათ შესახებ ძალიან მაღალი აზრი კნუტს, კაცმა რომ თქვას, არც სხვაგან და არც არასდროს ჰქონია, მაგრამ თანამედროვე, ემანსიპირებული ქალის ჰამსუნისათვის მრავალმხრივ უარყოფით სახეს ამერიკის შემთხვევაში ისიც ემატება, რომ, როგორც მწერალი ირწმუნება, ამერიკულ ხელოვნებას, გერმანულისა არ იყოს, ქალები ხელმძღვანელობდნენ და მათ მიერ მიწასთან იყო გასწორებული. იმავდროულად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჰამსუნის ცხოვრებისეული ხედვა, უმთავრესად, მაინც ესთეტიკის ხედვა იყო. იგი ამერიკულ ქალს აღიქვამდა არა იმდენად როგორც ინდივიდს ადამიანის უფლებებით, არამედ როგორც ესთეტიკურ ობიექტს. სხვათა შორის, ის მას მიიჩნევდა უფრო მიმზიდველად, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქალს მსოფლიოში (Næss, 1967, გვ. 312).

ჰარალდ ნესის ვერსიით, „ამერიკის შესახებ ჰამსუნის წიგნის მკითხველთა უმრავლესობას, ალბათ, ის სერიოზულად არ მიუღია, თუმცა, ზოგიერთზე ამზობენ, რომ მის გამო უარი თქვა ამერიკაში მოგზაურობის გეგმებზე მაშინ, როცა სხვებისთვის ის გამოიწვევა გახდა, წასულიყვნენ და თავად ენახათ ყველაფერი – (Næss, 1967, გვ. 313). არ ვიცი, რამდენად ბოლომდეა გასაზიარებელი მკვლევარის ზემოხსენებული მოსაზრება, მაგრამ ისიც ფაქტად რჩება, რომ თავად ჰამსუნს არასოდეს უსურვია ამ წიგნის ხელახალი გამოცემა და (მოგვიანებით) იმასაც კი ირწმუნებოდა, რომ ნაშრომის სტილი „სამინლად სუსტი და ბავშვური“ იყო (Næss, 1967, გვ. 305).

ამერიკასთან და ყოველივე ამერიკულთან ჰამსუნის წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებაზე მეტნაკლებად მკაფიო სურათის შესაქმნელად, ვფიქრობ, ჩემი ამ მსჯელობის დასასრულს, ჰამსუნის დიდების პერიოდში (ნობელის პრემია მან 1920 წელს მიიღო) დაწერილი მისი ერთი სტატიაც უნდა აღინიშნოს. Festina Lente („იჩქარე ნელა“) 1928 წელს გამოქვეყნდა: ავტორი კვლავ იმეორებს ამერიკული მატერიალიზმისადმი მისთვის დამახასიათებელ მწვავე კრიტიკას; ასევე წინასწარმეტყველებს, რომ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, საბოლოოდ, ამერიკული ცივილიზაციის დაცემასა და ნგრევას გამოიწვევს. თუმცა, შემდეგ ჰამსუნი აქებს ამერიკელების ისეთ თვისებებს, როგორებიცაა გულუხვობა და დახმარების სურვილი (Conner, 2016, გვ. 189-190). ჰამსუნი ამავე სტატიაში, სხვათა შორის, აღტაცებით საუბრობს ამერიკულ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე: „ხელოვნებამ დიდ სიმადლეებს მიაღწია: ფერწერა მდიდარი და ნიჭიერებით აღსავსეა და ლიტერატურა კი ყვავის, კერძოდ, თანამედროვე რომანისტიკა, რომელიც შტატებში ყველაზე ცინცხალი და ორიგინალურია მთელ მსოფლიოში; ესაა რენესანსი და ნიმუში ევროპისთვის“ (Hamsun, 2003, გვ.136). ამასთან დაკავშირებით, უნდა აუცილებლად დავეთანხმო ტომ კონერს (2016, გვ. 190), რომ ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ ჰამსუნმა, როგორც ჩანს, სათანადოდ გამოიყენა დრო, წაიკითხა არაერთი დიდი ამერიკელი ავტორი და ერთგვარად გამოასწორა ის – როგორც ტ. კონერი უწოდებს – უიმედოდ გულუბრყვილო და უსამართლო შეფასებები, რომლებიც მან თავის პირველ ამერიკულ სტატიებში გამოთქვა. იმავდროულად, ტ.კონერის არ იყოს, მყარად მიმაჩნია, რომ, საზოგადოდ, ჰამსუნი გაცილებით უფრო ღია იყო სიახლეების მისაღებად ლიტერატურაში, ვიდრე ოდესმე რა-

დიკალური პოლიტიკისა და პოლიტიკური ექსპერიმენტების მიმართ ყოფილა (Conner, 2016, გვ. 190). ეს ზემოთქმული ამერიკულ მწერლობასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალობასაც სრულფასოვნად ეხება.

**გამოყენებული ლიტერატურა / References:**

- Conner, T. (2016). „Going off the Beaten Path“: Knut Hamsun’s Forays into Travel Writing. „Nordlit“, (38), 182–203. <https://doi.org/10.7557/13.3766>
- Hamsun, K. (1890). Fra det ubevidste Sjeeleliv. „Samtiden“, (1), 325-334. Bergen
- Hamsun, K. (1949). Paa gjengrodde Stier, Oslo: «Gyldendal»
- Hamsun, K. (1962). Fra det moderne Amerikas Aandsliv, Oslo: «Gyldendal»
- Hamsun, K. (1994). Knut Hamsuns brev. 1 : 1879-1895, Oslo: «Gyldendal»
- Hamsun, K. (2003). Knut Hamsun Remembers America. Essays and Stories 1885- 1949. (Edited and translated by Richard Nelson Current). Columbia and London: “University of Missouri Press”
- Janson, K. (1913). Hva jeg har oplevet. Livserindringer, Kristiania/København : «Gyldendal»
- Larsen, L. F. (2003). Knut Hamsuns «exodus»—Amerika-oppholdet 1882–1884: Bakgrunn og erfaringer. «Nordlit», (13), 99–113. <https://doi.org/10.7557/13.1945>
- Næss, H. (1967). Knut Hamsun and America. “Scandinavian Studies”, vol. 39, no. 4. 305–328. JSTOR, <https://www.jstor.org/stable/40916881>
- Rasmussen, V. (2020). Interpreting America in the Works of Knut Hamsun and Johannes V. Jensen . “Nordlit», (47), 317–325. <https://doi.org/10.7557/13.5341>